

აკადემიური ელრესურსების გამოყენებადობა ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტში

თეონა სამაგლიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინფორმაციის მენეჯერის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: ინფორმაციის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია გაბრიჩიძე, მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

1.1. განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა საძაგლიშვილი

თ.საძაგლიშვილი

03. 02. 2016 წელი

1.2. აბსტრაქტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი მოწინავეა სასწავლო პროცესში სტუდენტებისათვის საჭირო მასალის ელექტრონული ფორმით მიწოდების დამკვიდრებაში. უნივერსიტეტის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საუნივერსიტეტო გარემოში ელრესურსის აქტიურ დამკვიდრებას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბიბლიოთეკის საშუალებით უზრუნველყო სტუდენტთა წვდომა მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსზე. ტექნოლოგიური განვითარების ერაში ელრესურსის მიმწოდებელ ინსტიტუციებს უწევთ მუდმივად ორიენტირებულნი იყვნენ სისტემის გაუმჯობესებაზე, რათა დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნები, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების პარალელურად იზრდება და შექმნან მომხმარებელთა საჭიროებებზე მორგებული გარემო უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით. ამრიგად, დროის ცვლილებასთან ერთად ეფექტურ შედეგზე ორიენტირებული საბიბლიოთეკო სისტემა მუდმივ ცვლილებას განიცდის, რათა მიაწოდოს მომხმარებელს მისთვის საჭირო პროდუქტი.

იმისათვის, რომ ბიბლიოთეკების მუშაობა იყოს ეფექტური, მათ მიერ მიწოდებული სერვისი კი გამოყენებული მომხმარებელთა ფართო აუდიტორიის მიერ, საჭიროა ჩატარდეს რეგულარული კვლევა — გამოკვლულ იქნას ბიბლიოთეკის მიერ მიწოდებული რესურსებისა და სერვისების მოხმარების კოეფიციენტი, მომხმარებელთა საჭიროებები, მოლოდინები და მოთხოვნები. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა აკადემიური ელრესურსის გამოყენებადობის კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. კვლევის ძირითად საკვლევ საკითხებს წარმოადგენს დადგენა თუ რა სიხშირით იყენებენ სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ აკადემიურ ელრესურსს, როგორია მათი სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის კმაყოფილების დონე, რა საჭიროებების წინაშე დგანან ისინი ინფორმაციის მოძიების პროცესში და რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული ბაზები სტუდენტთა საჭიროებებს.

კვლევის მეთოდოლოგია : კვლევა ჩატარებულია რაოდენობრივი მეთოდით. ყველა კვლევითი ეტაპი დაგეგმილი და შესრულებულია აღნიშნული მეთოდის მიხედვით. შერჩეული მეთოდით შესაძლებელი გახდა კვლევის ძირითადი მიზნის მიღწევა, რაც ემსახურებოდა სტუდენტთა მიერ სწავლის პროცესში ელრესურსის გამოყენებადობის სიხშირის განსაზღვრას და მათი როგორც ელრესურსის მომხმარებელთა დამოკიდებულებების გამოვლენას.

კვლევის ძირითადი საკვლევი კითხვებია: რამდენად ხშირად იყენებენ სტუდენტები ელრესურსს სწავლის პროცესში? როგორი იყო მათ მიერ სამეცნიერო ბაზების მოხმარების სტატისტიკა? რამდენად აკმაყოფილებს ან ვერ აკმაყოფილებს სამეცნიერო ბაზები სტუდენტთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს?

სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტები.

კვლევის შედეგად დადგინდა რომ გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა კვლევის პროცესში აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსს საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით. დადგინდა სამეცნიერო ბაზების მომხმარებელთა რაოდენობა, გაირკვა როგორია სტუდენტთა დამოკიდებულება და შეფასებები ბაზების პროდუქტიულობის მიხედვით და გამოიკვეთა მათი საჭიროებები და სამომავლო მიმართულებები, რაც რეკომენდაციის სახით არის წამოდგენილი კვლევაში.

სადიებო სიტყვები: ელექტრონული ბიბლიოთეკა, საბიბლიოთეკო სერვისით მოხმარებელთა კმაყოფილება, საბიბლიოთეკო სისტემის მექანიზმები, ელექტრონული რესურსის მოხმარებელთა კმაყოფილება, მოლოდინები. სამეცნიერო ბაზების სტატისტიკა.

1.3. მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს ქალბატონ ნათია გაბრიჩიძეს.

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, განსაკუთრებით საბიბლიოთეკო ფონდების მართვის განყოფილების უფროსს ბატონ გიგა ხოსიტაშვილს.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და კვლევაში მონაწილე სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს გაწეული დახმარებისათვის.